



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 16 დეკემბერი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 27 თებერვალი, 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი 07
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებულია 10/12/2014, 231 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ბურდული საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა გოგოტიშვილი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გვამაზია ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
 - ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი.
 - პროგრამაში ძირითადი სპეციალობის საგნების მოცულობაა 170 კრედიტი; 145 კრედიტი სავალდებულო კურსებია, ხოლო 25 კრედიტი - სპეციალობის არჩევით კურსებს აქვს დათმობილი; დარჩენილ 70 კრედიტს სტუდენტი ავსებს პროგრამის არჩევითი კურსებით და/ან დამატებითი სპეციალობის არჩევითი კურსებით და/ან შეუძლია აირჩიოს დამატებითი (Minor) სპეციალობა (60 კრედიტის მოცულობით).
 - წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა ლოგიკურად არის აგებული და თანმიმდევრულია: პროფესიის ბაზისურ სავალდებულო საგნებს მოსდევს შედარებით სპეციფიკური კურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიმართულებით დარგში ჩაღრმავების საშუალებას აძლევს სტუდენტს. ამასთან, შინაარსი და სტრუქტურა, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.
 - წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, მეტწილად უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას, პროგრამის სრულყოფისთვის გარკვეული კომპონენტების დახვეწის მიზნით შემუშავდა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
 - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასებისთვის განხორციელდა მიმდინარე წლის 16 დეკემბერს.
 - ვიზიტი წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფი განსაზღვრული თანმიმდევრობით შეხვდა სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებს, თვითშეფასების ჯგუფს, საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, აქტიურ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, ნახა ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, საგამოცდო ცენტრი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
 - წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაშია I, III და V სტანდარტებთან და მეტწილ შესაბამისობაშია II და IV სტანდარტთან.

▪ **რეკომენდაციები**

შემუშავდა რეკომენდაციების რამდენიმე ჯგუფი, რომელიც შეეხება:

- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს:
 - ✓ რეკომენდებულია, პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსის) თანმიმდევრულობა და ლოგიკური წყობა შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით;
 - ✓ მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია (პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი), რომელიც პროგრამის მიზნების, შინაარსისა და მასში აღწერილი სწავლის შედეგების შესაბამისი იქნება.
- ცალკეული კურსების წინაპირობებს;
 - ✓ დაემატოს წინაპირობები წარმოდგენილი პროგრამის ზოგიერთ სავალდებულო და ასარჩევ საგნებს: განვითარების ფსიქოლოგიას, ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევებს, კონფლიქტის ანალიზს და მართვას, ნეიროფსიქოლოგიას;
 - ✓ რელევანტური წინაპირობები განესაზღვროს წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და ასარჩევ საგნებს: პათოფსიქოლოგიას, ქცევის გამოყენებით ანალიზს.
- სწავლება-სწავლის მეთოდებს;
 - ✓ მიზანშეწონილია, სასწავლო კურსებში, განსაკუთრებით კი, კვლევის მეთოდებსა და პრაქტიკაში, სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვა და კურსის შინაარსთან მიმართებაში დაკონკრეტება და დაზუსტება, რათა კურსით გათვალისწინებული შედეგები იყოს გაზომვადი. მიღწევადი და რეალისტური.
- სასწავლო ლიტერატურას და მატერიალურ რესურსს;
 - ✓ რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსი ((ნეიროფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია, ინკლუზიური განათლების საფუძვლები) განახლდეს და/ან დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა და შესაბამისად, დარგობრივი ლიტერატურით მეტად გამდიდრდეს ბიბლიოთეკა.
- ადამიანურ რესურსს
 - ✓ რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა სასწავლო კურსების ხარისხისა და პროგრამის მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წარმოდგენილმა პროგრამამ 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია და მას შემდეგ ხორციელდება. შესაბამისად, პროგრამას ჰყავს რმდენიმე თაობის კურსდამთავრებული. დოკუმენტების შესწავლამ და ადგილზე ვიზიტმა აჩვენა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს, ძირითადად, გათვალისწინებული აქვთ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მიცემული რეკომენდაციები -- შეტანილია შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში. კერძოდ:

- ✓ განახლებული პროგრამაში დეტალურად და მკაფიოდაა წარმოდგენილი პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტის მიერ შეძენილი კომპეტენციები;
- ✓ სასწავლო პროგრამაში გაძლიერდა ინგლისური ენის კომპონენტი. პროგრამის სავალდებულოს კურსებში ინგლისური ენა წარმოდგენილია 20 კრედიტიანი მოცულობით და ასევე, ასარჩევ საგნებს დაემატა დარგობრივი ინგლისურ

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p>1.1 პროგრამის მიზნები</p> <p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო მიზანია მოამზადოს სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც შეძენილი ცოდნით, გამომუშავებული უნარებით და განვითარებული მოქალაქეობრივი ღირებულებებით წარმატებით შეძლებს პროფესიულ საქმიანობას ან სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში. პროგრამა ორიენტირებულია მისცეს კურსდამთავრებულს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიაში ზოგადი, განვითარების, სოციალური, პრაქტიკული ფსიქოლოგიის და ფსიქოთერაპიის ძირითადი მეთოდების შესწავლის გზით და გამოუმუშაოს მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი.</p> <p>როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისე — აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან შეხვედრამ აჩვენა, პროგრამის მიზნები დაწესებულების მისიის კონტექსტშია გააზრებული და ფორმულირებული, რაც უზრუნველყოფს კიდევ ამ ორის ურთიერთშესაბამისობას. ასევე, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრისა და ასევე, დარგის განვითარების მოთხოვნებს.</p> <p>აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის საკითხებს, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევით პროექტებში ჩართულობას და საერთაშორისო მობილობით სარებლობას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო უნივერსიტეტის მისია; ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები; ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; ○ თანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ დაწესებულებებთან.
<p>რეკომენდაციები:</p>

○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ წარმოდგენილმა პროგრამამ 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია და უწყვეტად ხორციელდება. ამ ხუთწლიან პერიოდში, ძირითადად, გათვალისწინებულ იქნა წინა დასკვნაში შეთავაზებული რეკომენდაციები.
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია ყველა ის თეორიული ცოდნა, უნარი თუ პასუხისმგებლობა, რომელსაც პროგრამა აძლევს კურსდამთავრებულს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ითვალისწინებს დასაქმების სფეროების მოთხოვნებსა და კურსდამთავრებულებს აძლევს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.</p> <p>როგორც პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების ანგარიშში, ისე -- თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევასაც ისახავს მოცემული კურსი. ასევე, ნათლად და დეტალიზებულად არის წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების</p>

რუკა, რომლითაც შესაძლებელი ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ურთიერთშედარება.

სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სასწავლო უნივერსიტეტში (და, შესაბამისად, წარმოდგენილ პროგრამაშიც) შემუშავებულია პირდაპირი (წერიტი და ზეპირი გამოცდა, გამოკითხვა, პროექტი საკურსო ნაშრომის სახით და ა.შ.) და არაპირდაპირი (დამსაქმებლების გამოკითხვა, კურიკულუმის რუკის ანალიზი, სტუდენტების გამოკითხვა და ა. შ.) შეფასების მეთოდოლოგია. ასევე, გაწერილია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები.

პროგრამის სწავლის შედეგების სისტემა, რომელიც ხორციელდება პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასება, ასახულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში, რომლითაც საგანმანათლებლო პროგრამის მიზნით განსაზღვრული კომპეტენციების ფორმირება მხოლოდ პროგრამის ცალკეული კომპონენტების (მოდული, სასწავლო კურსი) სწავლის შედეგებით ხორციელდება. რადგანაც საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება ხორციელდება მთელი რიგი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებით, პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილის შედგენა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზისა და მათი სამიზნე ნიშნულებთან შედარების შემდეგ ხდება სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის გზების გადახედვა და პროგრამის შესაბამისად მოდიფიცირება არსებული რეგულაციების ფარგლებში.

მაგალითად, შეფასების ანგარიში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების მექანიზმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს სათანადო რეაგირებისათვის, რაც საბოლოოდ, გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-20 დადგენილება);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს. ერთიანი

ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, ფაკულტეტზე, ბიბლიოთეკაში. პერიოდულად, დაინტერესებული პირებისათვის პროგრამის ხელმძღვანელი ატარებს პრეზენტაციას.

ამრიგად, წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირების პროგრამაში ჩართვას, რაც სწავლის შედეგების მიღწევის მიზანს ემსახურება.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებელთან გასაუბრება;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
 - სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:
www.gu.edu.ge/ge/;
 - სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ -

- შეფასება**
- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი).

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 ECTS კრედიტიდან:

170 კრედიტი ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებზე მოდის, აქედან 145 კრედიტი სავალდებულო კურსებია, ხოლო 25 კრედიტი - სპეციალობის არჩევით კურსებს აქვს დათმობილი; პროგრამის სავალდებულო კურსებში ინგლისური ენის კომპონენტი 20 კრედიტის მოცულობითაა წარმოდგენილი და ასევე, არჩევითი სასწავლო კურსის სახით სტუდენტებს შეეთავაზებათ დარგობრივი ინგლისური (5 კრედიტი).

სპეციალობის არჩევით კურსებს სტუდენტი ირჩევს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან;

აღნიშნული კურსები სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, მისი ინტერესების შესაბამისად, დაეუფლოს დამატებით ცოდნას სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელშიც სასწავლო კურსების ქრონოლოგიური წყობა, მეტწილად, თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა მეტწილად ითვალისწინებს სასწავლო კურსებს შორის ლოგიკურ კავშირს და შინაარსის განვითარებას ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მარტივიდან უფრო რთულ საკითხებამდე; პროფესიის ბაზისურ სავალდებულო საგნებს, ძირითადად, მოსდევს შედარებით სპეციფიკური კურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიმართულებით დარგში ჩაღრმავების საშუალებას აძლევს სტუდენტს; თუმცა, ზოგიერთი სასწავლო კურსი წინაპირობის გარეშეა, ზოგიერთს კი არალოგიკური წინაპირობა აქვს. როგორც ვიზიტიდან გაირკვა, აღნიშნული საკითხი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით რეგულირდება და ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტები, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ირჩევენ საგნებს. მიზანშეწონილია, პროგრამაში შემავალი ყველა კომპონენტის (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსის) თანმიმდევრულობა და ლოგიკური წყობა იყოს გათვალისწინებული.

წარმოდგენილი პროგრამის მიზნები, შინაარსი და სტრუქტურა, სასწავლო კურსები, დაშვების წინაპირობები, ძირითადად, უზრუნველყოფს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი (კოდი 07), რომელიც გაცილებით ფართო სფეროა და ფსიქოლოგიის გარდა, მოიცავს პოლიტიკისა და სოციოლოგიის დარგებს. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომელიც წარმოდგენილი პროგრამის შინაარსისა და მასში აღწერილი სწავლის შედეგების შესაბამისი იქნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> o სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-12 დადგენილება); o თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუ; o ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; o საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; o ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა o ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> o რეკომენდებულია პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსის) თანმიმდევრულობა და ლოგიკური წყობა შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით; o მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია (პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი), რომელიც პროგრამის მიზნების, შინაარსისა და მასში აღწერილი სწავლის შედეგების შესაბამისი იქნება.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>o -</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> o სასწავლო პროგრამაში გაძლიერდა ინგლისური ენის კომპონენტი. პროგრამის სავალდებულოს კურსებში ინგლისური ენა წარმოდგენილია 20 კრედიტიანი მოცულობით და ასევე, ასარჩევ საგნებს დაემატა დარგობრივი ინგლისური.
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის შეძენასა და სათანადო უნარების გამომუშავებაზე. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში და შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სწავლება-სწავლის მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, ჯგუფში მუშაობა და სხვა), ძირითადად, შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

რაც შეეხება სასწავლო მასალას, მართალია, თითოეული კურსის ძირითადი და დამატებითი საკითხავი მასალის ჩამონათვალში არაერთი წყაროა მითითებული და სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსებიც წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე - ელექტრონული მასალებით (უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ - კატალოგის (OPAC) სერვისი, უზრუნველყოფილია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისათვის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა), საკითხავი ლიტერატურა, გარკვეულწილად, მაინც გამოწვევად რჩება წარმოდგენილ პროგრამაში ჩართული კურსების ნაწილისათვის.

1. საკითხავი მასალა. საკითხავ მასალასთან დაკავშირებით ორი ძირითადი საკითხი გამოიკვეთა:

1.1. **საკითხავი მასალის ენა.** პროგრამის კურსებისთვის ძირითადად გამოყენებულია ქართულენოვანი ლიტერატურა, მათ შორის, შექმნილია საკითხავი მასალა კურსის წამყვანების მიერ (ე. წ. „რიდერი“); საქმე ისაა, რომ სტუდენტებს შეეთავაზებათ ინგლისური ენის 4 სავალდებულო კურსი (20 კრედიტი ჯამში) და ასევე, დარგობრივი ინგლისური - ასარჩევი სასწავლო კურსის სახით. რაც, ლოგიკურს ხდის მათთვის დამატებითი ლიტერატურის (და ზოგ შემთხვევაში, ძირითადისაც) სახით ინგლისურენოვანი მასალის შეთავაზებას.

1.2. **საკითხავი მასალის სიახლე.** მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ზრუნავს საკითხავი მასალის შექმნაზე და შესაბამისად, პროგრამის სასწავლო კურსების სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, ძირითადად, ქართულენოვანია; თუმცა, დგას უახლესი ლიტერატურით ზოგიერთი მიწოდებული მასალის ჩანაცვლების საჭიროება. ასე მაგალითად, ნეიროფსიქოლოგიის კურსში სტუდენტებს შეეთავაზებათ 1985 და 1987 წელს გამოცემული სახელმძღვანელოები, რაც ნამდვილად ვერ წარმოადგენს უახლეს, თანამედროვე ლიტერატურას;

განვითარების ფსიქოლოგია II-ში, ძირითადი ლიტერატურის სახით, შეთავაზებულია მხოლოდ თ.გოგიჩაიშვილის 2005 წლის სახელმძღვანელო, რაც განვითარების ფსიქოლოგიაში თანამედროვე ცოდნის მისაღებად არასაკმარისია; ასევე, კოგნიტურ ფსიქოლოგიაში შეთავაზებულია მ.კაკიაშვილის 2010 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, რომელიც თანამედროვე ნეირომეცნიერების ეპოქაში არსებულ

ცოდნას ვერ ფარავს. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასალების გადახედვა და კვლავ განახლება ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმისაწვდომი მასალებით.

2. **ზოგიერთ კურსზე დაშვების წინაპირობები.** ზოგიერთი სავალდებულო და ასარჩევი კურსი წინაპირობის გარეშე წარმოდგენილი პროგრამაში, ზოგიერთს კი - არარელევანტური სასწავლო კურსები აქვს წინაპირობად; რაც, ბუნებრივია, საფრთხეს უქმნის როგორც პროგრამის სტრუქტურის თანმიმდევრულობას, ასევე შეთავაზებული სასწავლო კურსების შინაარსის გაგებასა და ათვისებას; მაგალითად,

2.1. **განვითარების ფსიქოლოგიას** არ გააჩნია დაშვების წინაპირობა. ვინაიდან კურსს არ აქვს წინაპირობა, შესაძლებელია სტუდენტმა ზოგადი ფსიქოლოგიის გავლის გარეშე აირჩიოს ის (მაგალითად, მობილობით გადმოსვლის შემთხვევაში).

განვითარების ფსიქოლოგია სპეციალობის მეორე დონის საგანია და უფრო სპეციფიკურ ცოდნას აწვდის სტუდენტებს, ვიდრე პროგრამის ფარგლებში ზოგადი ფსიქოლოგია (I დონე), რეკომენდებულია აღნიშნულ კურსს წინაპირობად დაედოს ზოგადი ფსიქოლოგია, რაც, შეარჩევს/დაუშვებს სათანადო კომპეტენციის მქონე სტუდენტებს მოცემულ სასწავლო კურსზე.

2.2. **ნეიროფსიქოლოგია**, წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, მეორე სემესტრში ისწავლება და ასევე, წინაპირობის გარეშეა. მოცემული საგანი სპეციფიკური სასწავლო კურსია და მიზანშეწონილია შესაბამისი საბაზისო დონის საგანი დაედოს წინაპირობად;

2.3. **ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები** წინაპირობის გარეშეა. მოცემული საგანი სპეციფიკურ ცოდნას აძლევს სტუდენტებს და წინაპირობის გარეშე შეუძლებელია მისი გაგება და სრულფასოვნად შესწავლა; მიზანშეწონილია სტუდენტს გავლილი ქონდეს განვითარების ფსიქოლოგია და შემდეგ მიეწოდოს საგანი, რომელიც განვითარების დარღვევებზე ფოკუსირდება. რეკომენდებულია ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევებს წინაპირობად დაედოს განვითარების ფსიქოლოგია.

2.4. **კონფლიქტის ანალიზი და მართვა** პროგრამის ასარჩევი საგანია, მე-5 სემესტრში შეთავაზება სტუდენტებს და სპეციფიკურ ცოდნას აძლევს მათ კონფლიქტის, როგორც სოციალური მოვლენის, მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებების შესახებ. თუმცა, მოცემული საგანი წინაპირობის გარეშეა. სოციალური ფსიქოლოგიის კურსი გარეშე, რომელიც სწორედ სოციალურ გარემოში ქცევის კანონზომიერებებს, პიროვნებათა და ჯგუფთაშორის ურთიერთობებს და მათ შორის, კონფლიქტის არსს შეისწავლის და განიხილავს, შეუძლებელია მოცემული საგნის გაგება და სრულფასოვნად გავლა. ამიტომ მიზანშეწონილია კონფლიქტის ანალიზს და მართვას წინაპირობად დაედოს პროგრამის სავალდებულო საგანი - სოციალური ფსიქოლოგია.

2.5. **ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები** წარმოდგენილი პროგრამის სავალდებულო საგანია, რომელიც მე-6 სემესტრში ისწავლება. მოცემული სასწავლო კურსი სპეციფიკურ ცოდნას აძლევს სტუდენტებს და ამის მიუხედავად, წინაპირობის გარეშეა წარმოდგენილი; საგნის კურატორმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მოცემული საგანი ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებსაც მიეწოდებათ და ამის გამოა წინაპირობის გარეშე. აღნიშნული კურსი აუცილებლობით საჭიროებს სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებების ცოდნას, რომელიც სტუდენტებს მიეწოდებათ სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო კურსში. მიზანშეწონილია მოცემული სასწავლო კურსი ფსიქოლოგიის პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსზე იყოს მეტად მორგებული და წინაპირობად დაედოს პროგრამის საბაზისო კურსი - სოციალური ფსიქოლოგია.

<p>2.6. პათოფსიქოლოგია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსია. მოცემული საგანი სპეციფიკურ ცოდნას აძლევს სტუდენტს, რომელიც შესაბამის საბაზისო დონის სასწავლო კურსს საჭიროებს წინაპირობად. პროგრამაში მოცემული საგნის წინაპირობად მოცემულია ნეიროფსიქოლოგია, რომელიც უშუალო ბმაში არ არის წარმოდგენილ საგანთან. რეკომენდებულია პათოფსიქოლოგიას წინაპირობად დაედოს შესაბამისი სასწავლო საბაზისო კურსი.</p> <p>2.7. ქცევის გამოყენებითი ანალიზი პროგრამის ასარჩევი სასწავლო კურსია. მოცემული საგანი სპეციფიკურ ცოდნას აძლევს სტუდენტს, რომელიც რელევანტურ სასწავლო კურსს საჭიროებს წინაპირობად. პროგრამაში მოცემული საგნის წინაპირობად, ასევე, წარმოდგენილია ნეიროფსიქოლოგია, რომელიც უშუალო ბმაში არ არის წარმოდგენილ საგანთან. რეკომენდებულია ქცევის გამოყენებით ანალიზს წინაპირობად დაედოს შესაბამისი სასწავლო საბაზისო კურსი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> o ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o საგანმანათლებლო პროგრამის კურსკულუმის რუკა; o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; o ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; o ბიბლიოთეკისა და არსებული რესურსების დათვალიერება და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან გასაუბრება.
<p>რეკომენდაციები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების ლიტერატურის გადახედვა და განახლება ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმისაწვდომი მასალებით. კერძოდ, <ul style="list-style-type: none"> o განახლდეს ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა; o განვითარების ფსიქოლოგიისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე (ქართული, თუნდაც ინგლისურენოვანი) მასალები 2. დაემატოს წინაპირობები წარმოდგენილი პროგრამის ზოგიერთ სავალდებულო და ასარჩევ საგნებს: <ul style="list-style-type: none"> o განვითარების ფსიქოლოგიას, o ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევებს, o კონფლიქტის ანალიზს და მართვას, o ნეიროფსიქოლოგიას. 3. რელევანტური წინაპირობები განესაზღვროს წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და ასარჩევ საგნებს: <ul style="list-style-type: none"> o პათოფსიქოლოგიას; o ქცევის გამოყენებით ანალიზს.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>o -</p>

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o -

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში დეკლარირებულია, რომ ის უზრუნველყოფს ფსიქოლოგის პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ბაზისური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კვლევითი აქტივობის განხორციელებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

პირველს პროგრამა აღწევს სავალდებულო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტით და ხორციელდება ორგანიზაციებში, რომლებთანაც სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები, ან მზად არიან, მიიღონ სტუდენტები პრაქტიკის გასავლელად.

რაც შეეხება კვლევითი უნარების განვითარებას, ამისათვის პროგრამა მოიცავს კვლევის მეთოდებისა და საკურსო ნაშრომის/კვლევითი პროექტის კურსს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს უწევს ემპირიული კვლევის ჩატარება, ეს კი მიღებული თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების ერთობლივ გამოყენებას, რაც ხელმძღვანელის მითითებების პირობებში კვლევის წარმოებისთვის საჭირო ბაზისური უნარ-ჩვევების განმტკიცებას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სტუდენტები მაქსიმალურად მონაწილეობენ სასწავლო უნივერსიტეტში თუ პროფესორ-მასწავლებლების მიერ წარმოებულ კვლევებსა და კონფერენციებში. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის მექანიზმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o საგანმანათლებლო პროგრამა;
- o ცალკეული კურსების სილაბუსები;
- o სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;

<ul style="list-style-type: none"> o პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება; o დამსაქმებლებთან გასაუბრება; o კონფერენციების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები.
რეკომენდაციები: <p>-</p>
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <p>-</p>
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <p>o -</p>
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <p>o -</p> <p>o</p>
შეფასება <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<h3 style="color: blue;">2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</h3>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები, ძირითადად, შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> <p>თუმცა, ზოგიერთ კურსში, განსაკუთრებით კი პრაქტიკულ კურსებში (პრაქტიკა და კვლევის</p>

მეთოდები), სწავლება-სწავლის მეთოდები დასახვეწია და კურსის შინაარსთან შესაბამისობაშია მოსაყვანი.

პრაქტიკა წარმოდგენილი პროგრამის 10 კრედიტიანი სასწავლო კურსია, რომელიც პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს აძლიერებს. მოცემული კურსის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნის კრიტიკულ გააზრებას და განუვითაროს ცოდნის პრაქტიკაში რეალიზაციის უნარი. პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, სალექციო კვირებში საკონტაქტო საათები განაწილებულია შემდეგნაირად: 1 საათი ლექცია და 2 საათი პრაქტიკა. მოცემულ კურსში განსახილველი საკითხები და აქტივობები ძალიან ზოგადად არის წარმოდგენილი, რომლის შესახებ კონკრეტული პასუხები ვერც აკადემიურ პერსონალთან საუბარში მივიღეთ.

სასწავლო კურსი - **კვლევის მეთოდები** ძირითადად წარმოდგენილია სალექციო თეორიული საკითხებით და არ ჩანს ის კონკრეტული აქტივობები სწავლება-სწავლის მეთოდების სახით, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარებს გამოუმუშავებს, აღნიშნული საკითხი რჩევის სახით წარმოდგენილი იყო წინა აკრედიტაციის დასკვნაშიც. თუმცა, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუმ გამოავლინა, რომ პრაქტიკული აქტივობები ხორციელდება მოცემული სასწავლო კურსის ფარგლებში.

მიზანშეწონილია, აღნიშნული კურსის, განსაკუთრებით პრაქტიკული ნაწილის დაკონკრეტება, რათა სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური იყოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია სასწავლო კურსებში, განსაკუთრებით კი, კვლევის მეთოდებსა და პრაქტიკაში, სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვა და კურსის შინაარსთან მიმართებაში დაკონკრეტება და დაზუსტება, რათა კურსით გათვალისწინებული შედეგები იყოს გაზომვადი. მიღწევადი და რეალისტური.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც ასახულია სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. შეფასების პროცესით უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირება შეფასების შედეგების, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების თაობაზე. შეფასების წესით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

- o სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით და მოიცავს (ა) შუალედურ (60 ქულა, მათ შორის შუალედური გამოცდა 40 ქულა (30+10), სემინარების შეფასება 20 ქულა) და (ბ) დასკვნით შეფასებას (40 ქულა). ამასთან, შუალედური შეფასების ფორმისათვის, ასევე, თითოეული კომპონენტისათვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- o ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- o პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- o სასწავლო პროცესის მართვის სისტემა;
- o სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-57 დადგენილება);
- o სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.gu.edu.ge/ge/;

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადეკვატურ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულთათვის ყოველწლიურად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, რომელთა ფარგლებში სტუდენტები ინფორმაციას იღებენ სწავლის პროცესის მიმდინარეობის, რეგულაციების, საუნივერსიტეტო სივრცის შესახებ.

სტუდენტებისთვის, სალექციო საათების გარდა, გამოყოფილია ინდივიდუალური სამუშაო საათები, რომელთა ფარგლებში ლექტორებთან კონსულტაციის გავლა შეუძლიათ. კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია დაგეგმილი შეხვედრების, სილაბუსების მეშვეობით ვრცელდება. როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, პერსონალი ყოველთვის მზადაა მათ კითხვებზე პასუხის გაცემისთვისა და მხარდაჭერისთვის.

დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები სტუდენტებს პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას აძლევს (სოფელ ქვახრელის საჯარო სკოლა, უფლისციხის საჯარო სკოლა, გორის N3 საჯარო სკოლა, სამედიცინო ცენტრი „იავნანა“, იძულებით გადაადგილებულ პირ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, გორის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი, ა.შ).

კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით სტუდენტები რეკომენდაციებს ლექტორებისგან იღებენ. ინტერვიუს შედეგების მიხედვით, სტუდენტების ნაწილი პროფესიითაა დასაქმებული. როგორც აღნიშნავენ, დასაქმებისა და პრაქტიკების შესახებ ინფორმაციას მათ პერსონალი აწვდის. ამასგარდა დაწესებულებაში არსებობს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრი.

სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში იმართება დასაქმების ფორუმები, ადმინისტრაცია დამსაქმებლებს სტუდენტების რეზიუმეებს სთავაზობს.

რადგანაც ელექტრონული ბაზები დასახვეწია და სტუდენტები დამოუკიდებლად ვერ ირჩევენ საგნებს, კონსულტაციას პირადად რექტორთან გადიან, შესაბამის რჩევებს იღებენ და, შემდგომ, რექტორის დახმარებით, ინდივიდუალურად ირჩევენ სასურველ საგნებს.

დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი, პროგრამაში ჩართული პირები (რექტორი, ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, ლექტორები) სტუდენტებს სალექციო თუ საკონსულტაციო საათებში სიახლეების, მიმდინარე პროექტების შესახებ პირადად აწვდიან ინფორმაციას.

სტუდენტების თქმით, ისინი აქტიურად არიან ჩართულები სამეცნიერო ღონისძიებებში. ყოველწლიურად, სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში, ტარდება კონფერენციები, სადაც ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია მონაწილეობის მიღება.

სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს საერთაშორისო მემორანდუმები უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან, როგორებიცაა პოლონეთის უნივერსიტეტი (Kazimierz Wielki University), ვარშავას, ჟირონას უნივერსიტეტი და ა.შ. ასევე, სტუდენტებს Erasmus +-ის გაცვლითი პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ. ინტერვიუებიდან გამომდინარე, მათ ჰქონიათ უცხოეთში სასწავლო ლექციებზე დასწრების გამოცდილება.

სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კვლევებში, ძირითადად, შიდა საუნივერსიტეტო საგნის („კვლევის მეთოდები“) ფარგლებში.

სტუდენტებს წვდომა აქვთ სასწავლო უნივერსიტეტის საიტზე, სადაც მიმდინარე აქტივობების შესახებ ინფორმაციაა განთავსებული (<http://gu.edu.ge/ge/>). სიახლეები საუნივერსიტეტო სივრცეში არსებულ მონიტორების, კედლებზე გამოკრული განცხადებების საშუალებით ვრცელდება. საჭირო ინფორმაციას სტუდენტები ელექტრო ფოსტითაც იღებენ.

<p>სტუდენტებს კონსულტაციას უწევენ დეკანატში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, კანცელარიაში და ა.შ. აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური/საკონსულტაციო სამუშაო საათები, რაც სილაბუსებშია ასახული.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან ბმაში ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი ○ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუ
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ -
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ -
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
 მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
<p>შეფასება</p> <p>საფეხურის დონიდან გამომდინარე არ ფასდება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✘			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალის 16 წარმომადგენელი: 4 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 7 მოწვეული სპეციალისტი. მათ შორის, დარგობრივი პერსონალიდან გვხვდება 2 ასოცირებული პროფესორი და 4 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვს კონკურსის წესით. სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების თანახმად, პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო აქტივობებით: ადგილობრივ და ადგილობრივ დონეზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით და ძირითადად, სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებით ადგილობრივ ჟურნალებში; ხოლო მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია - მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო აქტივობით (ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობით და სამეცნიერო პუბლიკაციებით) და შესაბამისი სასწავლო კურსებით

გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“ და არის პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატური. კერძოდ, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 9/55, აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით - 16/55, ხოლო აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან - 9/7.

საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი, სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. მისი კვალიფიკაცია დასტურდება რელევანტური განათლებით და პრაქტიკული გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

თუმცა, წარმოდგენილი პროგრამიდან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მასშტაბის, სასწავლო კურსების სიმრავლის და დარგობრივი პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, რისკის ქვეშ დგება პროგრამის მდგრადობა, როცა ერთი ლექტორი რამდენიმე საგანს კურირებს. სასწავლო კურსების ხარისხისა და პროგრამის მდგრადობის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს დადგენილება, „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის მასწავლებელთა და აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის გარეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ რპცესის წარმოართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიანი წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და საკონკურსო მასალები;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-18 დადგენილება)
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>სასწავლო კურსების ხარისხისა და პროგრამის მდგრადობის გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>○ -</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>○ -</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. აღნიშნული შეფასება ხორციელდება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესაბამისად, რომელიც მოიცავს, როგორც მათი სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას.</p>

სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება - ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები; ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო პროექტების და სამეცნიერო ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ტარდება სხვადასხვა ტიპის ტრენინგები: მაგალითად, ტრენინგები შეეხება ისეთ თემებს, როგორცაა: სამეცნიერო/საგრანტო პროექტების შემუშავება; საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავება; პლაგიატის თავიდან აცილება, პლაგიატის ფაქტების გამოვლენა და მათზე რეაგირებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისთვის რეგულარულად ეწყობა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 დადგენილება);
 - სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების სამეცნიერო აქტივობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-22 დადგენილება);
 - პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კონფერენციები, გაცვლითი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ საქმიანობას და/ან სწავლების უნარის განვითარებას);
 - პროგრამის პერსონალის პირადი საქმეები;
 - საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
 - თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის ჯერაოვნად წარმართვისა და სხვა აქტივობებისათვის გათვალისწინებულია თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკური რესურსით - ადექვატური პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა მოწყობილობებით აღჭურვილი აუდიტორია-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები და ოთახები აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკით (კომპიუტერებით, პრინტერებით, ქსეროქსებით, სკანერებით) და ინტერნეტით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გასაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი - 307 826 ერთეულს მოიცავს, რაც აღრიცხულია საინვენტარო წიგნებში. მათ შორის, ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია დარგობრივი ლიტერატურა, სტუდენტებს ფსიქოლოგიის თემატიკასთან დაკავშირებულ სხვა აქტუალურ ლიტერატურასთანაც აქვთ წვდომა. ბიბლიოთეკაში არსებობს სრულყოფილი კატალოგი ქაღალდზე (ანბანური და სისტემატური), ასევე ელექტრონული სახით (ინტეგრირებული საბიბლიოთეკო პროგრამა „Openbiblio“). ბიბლიოთეკაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს ემსახურება კომპეტენტური პერსონალი. ბიბლიოთეკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ერთეულია ინგლისური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, რომელიც 2003 წელს დაარსდა აშშ მშვიდობის კორპუსის ხელშეწყობითა და ამავე კორპუსის მოხალისის - ედუარდ რაუპის თაოსნობით სასწავლო უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსში. ინგლისური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ფონდი, ამჟამად მოიცავს 5000 საბიბლიოთეკო ერთეულზე მეტს).

ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). რომელიც, ძირითადად, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები (Royal Society Journals collection, SAGE premier, OXFORD ACADEMIC journals, Openediton Journals და სხვ.), რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო გამოცემებს. რაც, ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ორიენტირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ დარგობრივი სიახლეებისა და პროგრამის პერსონალის მოთხოვნების გათვალისწინებით, საბიბლიოთეკო ფონდი რეგულარულად მდიდრდება პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით, წარმოდგენილი პროგრამის ზოგიერთ სასწავლო კურსში (ნეიროფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია, ინკლუზიური განათლების საფუძვლები) მოცემული ლიტერატურა მოძველებულია და განახლებას საჭიროებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროგრამით გათვალისწინებულ ზოგიერთ სასწავლო კურსში თანამედროვე ლიტერატურის დამატება და/ან განახლება და შესაბამისად, დარგობრივი ლიტერატურით ბიბლიოთეკის მეტად გამდიდრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შესაბამისი კომპიუტერული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ლაბორატორიები;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;
- თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრება;
- სტუდენტებთან ინტერვიუები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება - შემოწმება
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასება;
- სილაბუსები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

რეკომენდაციები:

ზოგიერთი სასწავლო კურსი (ნეიროფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია, ინკლუზიური განათლების საფუძვლები) განახლდეს და/ან დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა და შესაბამისად, დარგობრივი ლიტერატურით მეტად გამდიდრდეს ბიბლიოთეკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

—

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია სასწავლო უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის შეძენის ხარჯებს. შესაბამისი ფინანსური რესურსები გამოყოფილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. ამასთან ერთად, სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელიც მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ყველა სფეროს, ითვალისწინებს ბიზნეს პროცესების აღდგენას კრიზისულ სიტუაციებში და უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტ ფუნქციონირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის წესის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-62 დადგენილება;
- ინტერვიუ სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○ -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ -
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✘		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს სასწავლო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში, რაც მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას. აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს პერსონალის მონაწილეობას კოლეგების მიერ ჩატარებული მეცადინეობების შეფასებაში, მონაწილეობას</p>

პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ გამოკითხვებში, მათ შორის გამოკითხვაში, რომელიც ტარდება ყოველი სემესტრის ბოლოს და გულისხმობს სემესტრის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებული/წაკითხული სასწავლო კურსების შეფასებას. პროგრამის პერსონალი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით ახორციელებს სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება-მოდულიზაციას, რაც ასევე ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებას. საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას პროგრამის პერსონალი ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისად, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ციკლური პროცესია და მოიცავს "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" ეტაპებს. ყოველწლიურად პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშს, რომლის შედეგაშიც ჩართულია პროგრამის აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე;

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- შიდა ხარისხის შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
 - საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტა გამოკითხვები;
 - საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის გამოკითხვები;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ -

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ - გორის სახელმწიფო სასაწავლო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, მიმართავს გარე ხარისხის შეფასებას. გათვალისწინებულია 2014 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის გაცემული რეკომენდაციები, კერძოდ, დეტალურად და მკაფიოდაა წარმოდგენილი თუ რა სახის კომპეტენციას იძენს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ (ზუსტად არის განსაზღვრული თითოეული კომპეტენცია). ასევე, რეკომენდაციის გათვალისწინებით, პროგრამას დაემატა ინგლისური ენის კურსები (ინგლისური ენა A1/A2, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები). გათვალისწინებულია რჩევა სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით - ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება, როგორცაა ჯგუფური/ ინდივიდუალური პრეზენტაციები, საშინაო დავალებები და სხვა. პირველი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რჩევებიც, რომელთაგან ზოგიერთიარ არის გათვალისწინებული. მაგალითად: სილაბუსებში სასწავლო კვირების თემატიკის გარდა, თითოეულ კვირას დასამუშავებელი მასალის დასახელება, შესაბამისი თავისა და გვერდების მიხედვით ყოფილიყო ასახული; ამას გარდა, კვლევის მეთოდების კურსის ფარგლებში, თეორიულ ცოდნის გარდა, ყურადღება კვლევის ცალკეული მეთოდის პრაქტიკული გამოყენებაზე გამახვილებულიყო, რომელიც შეფასების მეთოდში აისახებოდა. ეს რჩევა ნაწილობრივ გათვალისწინებულია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>○ -</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>○ -</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>○ -</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით სისტემატურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას, აგრეთვე პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და პროფესიული განვითარების შეფასებას;

შეფასებების შედეგების ანალიზის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით და წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის სათანადო სტრუქტურულ ერთეულებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად. უსდ-ში სამეცნიერ-კვლევითი მუშაობისა და პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასება ხორციელდება ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პირველ ეტაპზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასებას შეფასების ფორმით გათვალისწინებული ინდიკატორებისა და შეფასების წყაროების საფუძველზე. აღნიშნული შეფასება ითვალისწინებს სემესტრის ბოლოს სტუდენტებისა და პერსონალის მიერ სასწავლო კურსის შეფასების შედეგებს.

სასწავლო კურსის შეფასების ფორმაში მითითებული ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემმოწმებელთა მოსაზრებები გამოვლენილი ნაკლოვანების შესახებ აისახება სათანადო შენიშვნის სტრიქონში.

სასწავლო კურსის შეფასების ფორმის ბოლო ნაწილში აისახება რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხელს შეუწყობს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრასა და სასწავლო კურსის განხორციელების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეორე - შემაჯამებელ ეტაპზე სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმის შევსებით ხორციელდება დადგენილ სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეფასება.

თითოეული სტანდარტის შესრულების ხარისხი ფასდება სათანადო ინდიკატორებით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულების დონით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ფორმის ბოლო ნაწილში აისახება რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება პროგრამის

განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების განვითარებას.

პროგრამის შეფასების შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და შეფასების შედეგების ყველა დაინტერესებული მხარისათვის გაცნობისა და შემუშავებულ რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით ეგზავნება ფაკულტეტის დეკანს.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

პროგრამას გავლილი აქვს კოლეგიალური (გარე) შეფასება, რომლის დასკვნაში დასტურდება პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და მათი მიღწევის მეთოდების, სასწავლო კურსების შინაარსის და მოცულობის, ცოდნის შეფასების სისტემის შესაბამისობა სოციალური მეცნიერებების ბაკალარის აკადემიური ხარისხის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. გარე შეფასების რეკომენდაციის გათვალისწინებით, გაიზარდა სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ გორის სახლემწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- შიდა ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- პერსონალის შეფასების შედეგად განხორციელებული ღონისძიებები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;
- სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსთან გასაუბრება;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის შეფასების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✘			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37


პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		x		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა


ნანა ბურდული



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თეა გოგოტიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

თინათინ გვაძაბია

